

1963 / 2



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



№ 7 (204)

10 მაგვი

1963 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენი-  
ლებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

- 106. კონვენცია სახელმწიფოებს შორის ოფიციალური გამოცემების და მთავრობათა დოკუ-  
მენტების გაცვლის შესახებ.
- 107. კონვენცია გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის შესახებ.

ბანყოფილება მეორე

- 108. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის  
ორდენით მხატვარ ე. ი. ეინმანის დაჯილდოების შესახებ.
- 109. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დრო-  
შის ორდენით ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ი. ი. ტიუტუქაძის  
დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.  
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.



სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი  
საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

კონვენცია

**106** სახელმწიფოებს შორის ოფიციალური გამოცემების და მთავ-  
რობათა დოკუმენტების გაცვლის შესახებ

პარიზში 1958 წლის 4 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე მეათე სესიაზე მოწვე-  
ულმა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორ-  
განიზაციის გენერალურმა კონფერენციამ,

დარწმუნებულმა, რომ გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის განვითარება  
საჭიროა მთელი მსოფლიოს ყველა ხალხს შორის იდეებისა და ცოდნის გავრ-  
ცელებისათვის,

გათვალისწინა ის მნიშვნელობა, რომელსაც გაერთიანებული ერების გა-  
ნათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წესდება ანიჭებს გა-  
მოცემათა საერთაშორისო გაცვლას,

გაიცნო ოფიციალურ გამოცემათა გაცვლის დებულებები, გათვალისწინე-  
ბულნი 1886 წლის 15 მარტს ბრიუსელში დადებულ ოფიციალური დოკუმენტ-  
ების, სამეცნიერო და ლიტერატურულ-მხატვრული გამოცემების საერთაშო-  
რისო გაცვლის კონვენციასა და იმ კონვენციაში, რომელიც მიზნად ისახავს  
უზრუნველყოს მთავრობათა მოამბეების, პარლამენტთა ანგარიშების და დო-  
კუმენტების დაუყოვნებლივი გაცვლა, ისევე როგორც დებულებები, გათვა-  
ლისწინებულნი გამოცემათა გაცვლის სხვადასხვა რეგიონალურ შეთანხმებებში,

აღიარა, რომ საჭიროა სახელმწიფოებს შორის ოფიციალური გამოცემების  
და მთავრობათა დოკუმენტების გაცვლის ახალი საერთაშორისო კონვენცია,  
გაიცნო სესიის დღის წესრიგის 15. 4. 1 პუნქტში აღნიშნული წინადადე-  
ბები სახელმწიფოებს შორის ოფიციალური გამოცემების და მთავრობათა დო-  
კუმენტების გაცვლის შესახებ,

მეცხრე სესიაზე გადაწყვიტა, რომ ამ წინადადებათა მიხედვით შემუშავე-  
ბულ უნდა იქნეს საერთაშორისო წესები საერთაშორისო კონვენციის დადების  
გზით, და

1958 წლის სამ დეკემბერს მიიღო ეს კონვენცია.

**მუხლი 1**

ოფიციალური გამოცემების და მთავრობათა  
დოკუმენტების გაცვლა

ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები გამოთქამენ მზადყოფნას ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად ნაცვალგების საფუძველზე ურთიერთ-შორის გაცვალონ თავ-თავიანთი ოფიციალური გამოცემები და მთავრობათა დოკუმენტები.

**მუხლი 2**

განსაზღვრა ცნებისა ოფიციალური გამოცემები და  
მთავრობათა დოკუმენტები

1. ამ კონვენციის თანახმად ოფიციალური გამოცემები და მთავრობათა დოკუმენტებია: მთავრობათა მოამბეები, პარლამენტთა ანგარიშები და დოკუმენტები და საკანონმდებლო ხასიათის სხვა ტექსტები, ადმინისტრაციული გამოცემები და ცენტრალურ, ფედერალურ და რეგიონალურ მთავრობათა ორგანოების ანგარიშები; შიგასახელმწიფოებრივი ბიბლიოგრაფიები და ცნობარები, საკანონმდებლო დადგენილებათა კრებულები, სასამართლო გადაწყვეტილებანი და სხვა გამოცემები, თუ კი მათ გამოსცემენ რომელიმე შიგასახელმწიფოებრივი მთავრობის ორგანოს დაკვეთით და მის ხარჯზე და რომელთა გამო შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება.

2. მაგრამ ამ კონვენციის გამოყენების დროს ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ, თუ რომელი ოფიციალური გამოცემები და მთავრობათა დოკუმენტებია გასაცვლელი.

3. ეს კონვენცია არ ვრცელდება კონფიდენციალურ დოკუმენტებზე, სამსახურებრივ კორესპონდენციასა და იმ სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც საჯაროდ არ ყოფილან გამოტანილი.

**მუხლი 3**

ორმხრივი შეთანხმებები

ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები დადებენ ორმხრივ შეთანხმებებს, რამდენადაც ასეთი შეთანხმებები საჭიროა ამ კონვენციის განსაზოორციელებლად და იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომლებითაც დაინტერესებული არიან ისინი და რომლებიც წარმოიშვებიან მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

#### მუხლი 4

### გაცვლის გამგებელი ეროვნული დაწესებულებები

1. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ სახელმწიფოში გაცვლის სამუშაოს ასრულებს წიგნის გაცვლის ეროვნული სამსახური ანდა, თუ არ არსებობს ასეთი სამსახური, ამისთვის დანიშნული გაცვლის მთავარი ცენტრი ან გამცვლელი ცენტრები.

2. გაცვლის გამგებელი დაწესებულებანი პასუხისმგებელი არიან ხელშეკრულების დამდებ თითოეულ სახელმწიფოში ამ კონვენციის და 3 მუხლში აღნიშნული ორმხრივი შეთანხმებების გამოყენებისათვის, თუ კი ასეთი ორმხრივი შეთანხმებები არსებობენ. თითოეული სახელმწიფო წიგნების გაცვლის თავის ეროვნულ სამსახურს ან გაცვლის მთავარ ცენტრებს აღძურავს რწმუნებით მიიღონ გასაცვლელი დოკუმენტები და აძლევს საკმარის ფინანსურ სახსრებს გაცვლის სამუშაოს უზრუნველსაყოფად.

#### მუხლი 5

### გასაცვლელ გამოცემათა ნუსხა და რაოდენობა

ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა გამცვლელი ცენტრები ერთად დაამტკიცებენ გასაცვლელი ოფიციალური გამოცემების და მთავრობათა დოკუმენტების ნუსხას და რაოდენობას. გასაცვლელი ოფიციალური გამოცემების და მთავრობათა დოკუმენტების ეს ნუსხა და რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ამ ცენტრების შეთანხმების გზით.

#### მუხლი 6

### გადაგზავნა

მასალები შეიძლება გადაეგზავნოთ უშუალოდ გამცვლელ ცენტრებს ან მათ ნაჩვენებ ადრესატებს. შესაძლებელია გამცვლელი ცენტრები შეთანხმდნენ, თუ რა მეთოდით აღნიშნონ მასალა ზედნადებზე.

#### მუხლი 7

### სატრანსპორტო ხარჯები

თუ არ არის სპეციალური შეთანხმება, ცენტრი-გამგზავნელი იხდის დანიშნულების ადგილამდე გადაგზავნის ყველა ხარჯს; მაგრამ საზღვაო ტრანსპორტით მიტანისას გადახდილი იქნება მხოლოდ შეფუთვისა და დანიშნულების ნავსადგურის საბაჟომდე გადაზიდვის ხარჯები.

## მუხლი 8

## გადაზიდვის ტარიფი და პირობები

ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას მიიღებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამცველმა ცენტრებმა ისარგებლონ ყველაზე უფრო შედეგითიანი მოქმედი ტარიფით და სატრანსპორტო პირობებით, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა სახის ტრანსპორტი იქნება გამოყენებული: ფოსტა, ავტოტრანსპორტი, რკინიგზა, სამდინარო თუ საზღვაო ტრანსპორტი, საჰაერო ფოსტა თუ საჰაერო ტრანსპორტი.

## მუხლი 9

## საბაჟო და სხვა შეღავათები

ამ კონვენციის ან მისი გამოყენების მიზნით დადებული ყოველი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დამდები თითოეული სახელმწიფო თავის გამცველ ცენტრებს ათავისუფლებს როგორც შემოზიდვის, ისე გაზიდვის საბაჟო გადასახადისაგან და უზრუნველყოფს მათთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს საბაჟო და სხვა ფორმალბათა შესასრულებლად.

## მუხლი 10

## გაცვლის საერთაშორისო კოორდინაცია

იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას ხელი შეუწყონ იმ ფუნქციების შესრულებაში, რომლებსაც მას აკისრებს თავისი წესდება გაცვლის საერთაშორისო კოორდინაციის მიმართ, ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები ორგანიზაციაში გაგზავნიან ამ კონვენციის გამოყენების წლიურ ანგარიშებს და 3 მუხლის შესაბამისად დადებულ ორმხრივ შეთანხმებათა პირებს.

## მუხლი 11

## ინფორმაცია და გამოკვლევა

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია აქვეყნებს ინფორმაციას, მიღებულს ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოებისაგან 10 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე შეადგენს და აქვეყნებს გამოკვლევას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ.

### მუხლი 12

ხელშეწყობა გაერთიანებული ერების  
 განათლების, მეცნიერებისა და კულტურის  
 ორგანიზაციის მხრივ

1. იმ მიზნით, რომ მიიღონ დახმარება ყოველგვარი ტექნიკური პრობლემის გამო, რომელიც ამ კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება, ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას. ორგანიზაცია ამ დახმარებას აღმოუჩენს თავისი პროგრამის და შესაძლებლობის ფარგლებში, კერძოდ, წიგნის გაცვლის ეროვნული სამსახურის შესაქმნელად და მისი მუშაობის მოსაწყობად.

2. ორგანიზაციას რწმუნება ენიჭება თავისი საკუთარი ინიციატივით წინადადება მისცეს ამ საკითხზე ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს.

### მუხლი 13

ადრე დადებული შეთანხმებები

ეს კონვენცია სრულიად არ შელახავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო შეთანხმებათა ფარგლებში იკისრეს ადრე. იგი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც მოქმედი შეთანხმებებით გათვალისწინებული გაცვლის გამეორების ვალდებულება.

### მუხლი 14

ენები

ეს კონვენცია შედგენილია ესპანურ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ოთხივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

### მუხლი 15

რაციფიკაცია და მიღება

1. ეს კონვენცია რაციფიცირებულ ანდა მიღებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ თავ-თავიანთი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად.

2. სარაციფიკაციო სიგელები ან მიღების აქტები შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

### მუხლი 16

#### შ ე მ ო ე რ თ ე ბ ა

1. ეს კონვენცია შემოსაერთებლად ხსნილია ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი და რომელმაც მიიღო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს მიწვევა.

2. შემოერთება განხორციელდება იმ გზით, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შესანახად გადაეცემა შეერთების დეკლარაცია.

### მუხლი 17

#### ძ ა ლ ა შ ი შ ე ს ვ ლ ა

ეს კონვენცია ძალაში შევა მესამე სარატიფიკაციო სიგელის ანდა მიღების ან შეერთების დეკლარაციის შესანახად ჩაბარების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებმაც ამ დღეს ან ამ დღისათვის ჩააბარეს შესანახად ასეთი სიგელი ან დეკლარაცია. ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელიც შესანახად ჩააბარებს თავის სარატიფიკაციო სიგელს ანდა მიღების ან შეერთების დეკლარაციას, იგი ძალაში შევა სიგელის ან დეკლარაციის შესანახად ჩაბარების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

### მუხლი 18

#### რ ა ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ს მ ო ი ც ა ვ ს კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების მომენტში ანდა ამის შემდეგ ხელშეკრულების დამდებ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ნოტიფიკაცია იმის შესახებ, რომ ამ კონვენციის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობას იგი განაგებს. ეს ნოტიფიკაცია ძალაში შედის მისი მიღების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

### მუხლი 19

#### დ ე ნ ო ნ ს ა ც ი ა

1. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსაცია თავისი სახელით ანდა ყოველი იმ ტერიტორიის სახელით, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობას იგი განაგებს.

2. დენონსაცია განცხადებული უნდა იყოს წერილობით ნოტაში, რომელიც შესაძლებელია ჩაბარდებამ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

3. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის ნოტის მიღების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

### მუხლი 20

#### ნოტიფიკაცია

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი შეატყობინებს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებს, მოხსენიებულთ 16 მუხლში, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ შესაძლებელია ჩაიბარა ყველა სარატიფიკაციო სიგელი და მიღების ან შემოერთების დეკლარაცია, რასაც ითვალისწინებენ 15 და 16 მუხლები, შეატყობინებს აგრეთვე ყველა ნოტიფიკაციას და დენონსაციას, რასაც ითვალისწინებენ შესაბამისად 18 და 19 მუხლები.

### მუხლი 21

#### კონვენციის გადასინჯვა

1. ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ. გადასინჯული ტექსტი სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გადასინჯული კონვენციის მხარეები გახდებიან.

2. თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ამ კონვენციის მთლიანად ან ნაწილობრივ შემცვლელ ახალ კონვენციას, ამასთან ახალი კონვენცია არ შეცვლის ამ დებულებას, ეს კონვენცია დაიხურება რატიფიკაციის, მიღების ან შემოერთებისათვის ახალი გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

### მუხლი 22

#### რეგისტრაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102 მუხლის შესაბამისად ეს კონვენცია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თხოვნით რეგისტრირებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

დადებულია პარიზში 1958 წლის 5 დეკემბერს თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ხელმოწერილია გენერალური კონფერენციის მეათე სესიის თავმჯდომარის, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მიერ. ეს ეგზემპლარები შესაძლებელია გადაეცემა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა



და კულტურის ორგანიზაციის არქივს და სათანადოდ დამოწმებული მათი პირები გაეგზავნება 15 და 16 მუხლებში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

\* \* \*

რეატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 11 სექტემბერს.

სსრ კავშირისათვის კონვენცია ძალაში შევა 1963 წლის 8 ოქტომბერს.

### პ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

## 107 გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის შესახებ

პარიზში 1958 წლის 4 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე მეათე სესიაზე მოწვეულმა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ,

დარწმუნებულმა, რომ გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის განვითარება საჭიროა მთელი მსოფლიოს ყველა ხალხს შორის იდეებისა და ცოდნის თავისუფალი გავრცელებისათვის,

გაითვალისწინა ის მნიშვნელობა, რომელსაც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წესდება ანიჭებს გამოცემათა საერთაშორისო გაცვლას,

აღიარა, რომ საჭიროა გამოცემათა გაცვლის ახალი საერთაშორისო კონვენცია,

გაიკნო სესიის დღის წესრიგის 15. 4. 1 პუნქტში მოხსენიებული წინადადებები გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის შესახებ,

გადაწყვიტა მეცხრე სესიაზე, რომ ამ წინადადებათა გამო შემუშავებულ უნდა იქნეს საერთაშორისო წესები საერთაშორისო კონვენციის დადების გზით, და

1958 წლის სამ დეკემბერს მიიღო ეს კონვენცია.

### მუხლი 1

#### გ ა მ ო ც ე მ ა თ ა გ ა ც ვ ლ ა

ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები კისრულობენ წახალისონ და გაამარტივონ გამოცემათა გაცვლა როგორც მთავრობათა ორგანოებს შორის, ასევე იმ არასამთავრობო საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკურ ან კულტურულ დაწესებულებებს შორის, რომლებიც კომერციის მიზნით არ იღწვიან.

## მუხლი 2

## რას მოიცავს გაცვლა

1. წინამდებარე კონვენციის თანახმად არა იმიტომ, რომ ხელახლა გაიყიდოს, ამ კონვენციის 1 მუხლში აღნიშნულ ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის გაცვლის საგანი შეიძლება იყოს შემდეგი გამოცემები:

(ა) საგანმანათლებლო, იურიდიული, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სინფორმაციო ხასიათის გამოცემები, როგორცაა: წიგნები, გაზეთები და პერიოდული გამოცემანი, რუკები და გეგმები, ესტამპები, ფოტო-სურათები, მიკროპირები, მუსიკალური პარტიტურები. გამოცემანი ბრაის შრიფტით და სხვა ბეჭდვითი მასალა,

(ბ) გამოცემები, გათვალისწინებულნი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ 1958 წლის სამ დეკემბერს მიღებულ კონვენციაში სახელმწიფოებს შორის ოფიციალური გამოცემების და მთავრობათა დოკუმენტების გაცვლის შესახებ.

2. ეს კონვენცია სრულიად არ შელახავს გაცვლას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოებს შორის ოფიციალური გამოცემებისა და მთავრობათა დოკუმენტების გაცვლის შესახებ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ 1958 წლის სამ დეკემბერს დადებული კონვენციის ფარგლებში.

3. ეს კონვენცია არ ერცელდება კონფიდენციალურ დოკუმენტებზე, სამსახურებრივ კორესპონდენციასა და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც საჯაროდ არ ყოფილან გამოტანილი.

## მუხლი 3

## გაცვლის სამსახური

1. ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააკისრონ წიგნის გაცვლის ეროვნულ სამსახურს, ანდა თუ არ არსებობს ასეთი სამსახური, მთავარ ცენტრს ან გამცვლელ ცენტრებს შეასრულონ ამ კონვენციის 1 მუხლში მოხსენიებულ ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის გამოცემათა გაცვლის განვითარებისა და კოორდინაციის შემდეგი ფუნქციები:

(ა) გამოცემათა საერთაშორისო გაცვლის გაადვილება და, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში გასაცვლელი საგნების გადაგზავნა,

(ბ) გაცვლის შესაძლებლობათა შესახებ თავისი ქვეყნის და უცხო სახელმწიფოების ორგანოთა და დაწესებულებათა კონსულტირება და ინფორმირება,

(ც) საჭიროებისდა მიხედვით, დუბლიკატების გაცვლის წახალისება.

2. მაგრამ ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ფუნქციის ან მისი ნაწილის შესრულება შეიძლება დაევალოთ სხვა ორგანოებს, თუკი წიგნის გაცვლის ეროვნულ სამსახურსა ან გამცვლელ ცენტრებში ამ კონვენციის 1 მუხლში აღნიშნულ ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის გაცვლის განვითარებისა და კოორდინაციის ყველა სამუშაოს თავმოყრა სასურველი არ არის.

## მუხლი 4

## გ ა დ ა გ ზ ა ე ნ ა

შესაბამის ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის გადაგზავნა განხორციელდება ან უშუალოდ მათ მიერ, ანდა წიგნის გაცვლის ეროვნული სამსახურის ან გამცვლელი ცენტრების საშუალებით.

## მუხლი 5

## ს ა ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ო ხ ა რ ჯ ე ბ ი

ხელშეკრულების დამდებმა სახელმწიფოებმა არ უნდა აანაზღაურონ გადაგზავნის ხარჯები, თუკი გადაზიდვას უშუალოდ თვით გამცვლელი მხარეები ახორციელებენ. ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები დანიშნულების ადგილამდე გაიღებენ გადაზიდვის ხარჯებს, თუკი ასეთი ხორციელდება გამცვლელი ცენტრის ან ცენტრების საშუალებით; მაგრამ საზღვაო ტრანსპორტით მიტანისას გადახდილ იქნება მხოლოდ შეფუთვისა და დანიშნულების ნავსადგურის საბაჟომდე გადაზიდვის ხარჯები.

## მუხლი 6

## გ ა დ ა ზ ი დ ვ ი ს ტ ა რ ი ფ ი და პ ი რ ო ბ ე ბ ი

ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას მიიღებენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამცვლელმა ცენტრებმა ისარგებლონ ყველაზე უფრო შედეგადათიანი მოქმედი ტარიფით და სატრანსპორტო პირობებით, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა სახის ტრანსპორტი იქნება გამოყენებული: ფოსტა, ავტოტრანსპორტი, რკინიგზა, სამდინარო თუ საზღვაო ტრანსპორტი, საჰაერო ფოსტა თუ საჰაერო ტრანსპორტი.

## მუხლი 7

## ს ა ბ ა ჟ ო და ს ხ ვ ა შ ე დ ა ვ ა თ ე ბ ი

ამ კონვენციის ან მისი გამოყენების მიზნით დადებული ყოველი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დამდები თითოეული სახელმწიფო თავის გამცვლელ ცენტრებს ათავისუფლებს როგორც შეზიდვის, ისე გაზიდვის საბაჟო გადასახადისაგან და უზრუნველყოფს მათთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს საბაჟო და სხვა ფორმალობათა შესასრულებლად.

## მუხლი 8

## გ ა ც ვ ლ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ო რ დ ი ნ ა ც ი ა

იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას ხელი შეუწყონ იმ ფუნქციების შესრულებაში, რომ-

ლებსაც მას აკისრებს თავისი წესდება გაცვლის საერთაშორისო კოორდინაციის მიმართ, ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები ორგანიზაციაში გაგზავნიან ამ კონვენციის გამოყენების წლიურ ანგარიშებს და 12 მუხლის შესაბამისად დადებულ ორმხრივ შეთანხმებათა პირებს.

### მუხლი 9

#### ინფორმაცია და გამოკვლევა

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია აქვეყნებს ინფორმაციას, მიღებულს ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოებისაგან 8 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე შეადგენს და აქვეყნებს გამოკვლევას ამ კონვენციის გამოყენების შესახებ.

### მუხლი 10

#### ხელშეწყობა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მხრივ

1. იმ მიზნით, რომ მიიღონ დახმარება ყოველგვარი ტექნიკური პრობლემის გამო, რომელიც ამ კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება, ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას. ორგანიზაცია ამ დახმარებას აღმოუჩენს თავისი პროგრამის და შესაძლებლობის ფარგლებში, კერძოდ, წიგნის გაცვლის ეროვნული სამსახურის შესაქმნელად და მისი მუშაობის მოსაწყობად.

2. ორგანიზაციას რწმუნება ენიჭება თავისი საკუთარი ინიციატივით წინადადება მისცეს ამ საკითხზე ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებს.

### მუხლი 11

#### აღრე დადებული შეთანხმებები

ეს კონვენცია სრულიად არ შელახავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო შეთანხმებათა ფარგლებში იკისრეს აღრე.

### მუხლი 12

#### ორმხრივი შეთანხმებები

ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები დადებენ ორმხრივ შეთანხმებებს, რამდენადაც ასეთი შეთანხმებები საჭიროა ანდა სასურველია ამ კონვენციის დადგენილებათა შესავსებად და იმ საკითხების მოსაწყესრიგებლად, რომლებითაც დაინტერესებული არიან ისინი და რომლებიც წარმოიშვებიან მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

**მუხლი 13**

**ენებო**

ეს კონვენცია შედგენილია ესპანურ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ოთხივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

**მუხლი 14**

**რ ა ტ ი ფ ი კ ა ც ი ა და მიღება**

1. ეს კონვენცია რატიფიცირებულ ანდა მიღებულ უნდა იქნეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ თავ-თავიანთი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად.

2. სარატიფიკაციო სიგელები ან მიღების აქტები შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

**მუხლი 15**

**შ ე მ ო ე რ თ ე ბ ა**

1. ეს კონვენცია შემოსაერთებლად ხსნილია ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი და, რომელმაც მიიღო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სათანადო მიწვევა.

2. შემოერთება განხორციელდება იმ გზით, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შესანახად გადაეცემა შეერთების დეკლარაცია.

**მუხლი 16**

**ძ ა ლ ა შ ი შ ე ს ვ ლ ა**

ეს კონვენცია ძალაში შევა მესამე სარატიფიკაციო სიგელის ანდა მიღების ან შეერთების დეკლარაციის შესანახად ჩაბარების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებმაც ამ დღეს ან ამ დღისათვის ჩააბარეს შესანახად ასეთი სიგელი ან დეკლარაცია. ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელიც შესანახად ჩააბარებს თავის სარატიფიკაციო სიგელს ანდა მიღების ან შეერთების დეკლარაციას, იგი ძალაში შევა მიღების ანდა შეერთების სიგელის ან დეკლარაციის შესანახად ჩაბარების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

### მუხლი 17

#### რ ა ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ს მ ო ი ც ა ვ ს კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

რატეფიკაციის, მიღების ან შეერთების მომენტში ანდა ამის შემდეგ ხელშეკრულების დამდებ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს ნოტიფიკაცია იმის შესახებ, რომ ამ კონვენციის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობას იგი განაგებს. ეს ნოტიფიკაცია ძალაში შედის მისი მიღების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

### მუხლი 18

#### დ ე ნ ო ნ ს ა ც ი ა

1. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსაცია თავისი სახელით ანდა ყოველი იმ ტერიტორიის სახელით, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობას იგი განაგებს.

2. დენონსაცია განცხადებული უნდა იყოს წერილობით ნოტაში, რომელიც შესაძლებელია ჩაბარდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს.

3. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის ნოტის მიღების დღიდან თორმეტი თვის გასვლის შემდეგ.

### მუხლი 19

#### ნ ო ტ ი ფ ი კ ა ც ი ა

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი შეატყობინებს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებს, მოხსენიებულთ 15 მუხლში, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ შესაძლებელია ჩაიბარა ყველა სარატეფიკაციო სიგელი და მიღების ან შემოერთების დეკლარაცია, რასაც ითვალისწინებენ 14 და 15 მუხლები, შეატყობინებს აგრეთვე ყველა ნოტიფიკაციას და დენონსაციას, რასაც ითვალისწინებენ 17 და 18 მუხლები.

### მუხლი 20

#### კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა ს გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა

1. ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ. გადასინჯული ტექსტი სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გადასინჯული კონვენციის მხარეები გახდებიან.

2. თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ამ კონვენციის მთლიანად ან ნაწილობრივ შემცველ ახალ კონვენციას, ამასთან ახალი კონვენცია არ შეცვლის ამ დებულებას, ეს კონვენცია დაიხურება რატიფიკაციის, მიღების ან შემოერთებისათვის ახალი გადასინჯული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან.

მუხლი 21

რეგისტრაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102 მუხლის შესაბამისად ეს კონვენცია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თხოვნით რეგისტრირებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

დადებულია პარიზში 1958 წლის 5 დეკემბერს თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ხელმოწერილია გენერალური კონფერენციის მეათე სესიის თავმჯდომარის და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მიერ. ეს ეგზემპლარები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის არქივს და სათანადოდ დამოწმებული მათი პიოები გაეგზავნება 14 და 15 მუხლებში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

\* \* \*

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 11 სექტემბერს.

სსრ კავშირისათვის კონვენცია ძალაში შევა 1963 წლის 8 ოქტომბერს.

ბანყოფილება მიორა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**108** შრომის წითელი დროშის ორდენით მხატვარ ე. ი. ეინმანის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მხატვარი ედუარდ იანის ძე ეინმანი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 27 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**109** შრომის წითელი დროშის ორდენით ლიბვის სსრ მეცნიერება-  
თა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ი. ი. შიუგუდას დაჯილდოვ-  
ების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში  
დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით  
ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იუოზას იონის ძე  
შოუგუდა დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიმრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 2 მარტი.

№ 1088-VI.

ბანყოფილება მისამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ცხვრის სულადობის გადიდებაში, აგრეთვე ხორცის, მატყლისა და ყარა-  
კულის მაქდაკის წარმოების გადიდებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ  
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 25 თებერვლის ბრძანე-  
ბულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ყაზახეთის  
სსრ 30 ახალგაზრდა მეცხვარე.

ღენინის ორდენით დაჯილდოებულია 3 კაცი, შრომის წითელი დროშის  
ორდენით — 6, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 8, მედლით „შრომითი მამა-  
ცობისათვის“ — 13 კაცი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

ქაზახეთის სსრ

კიროვის და პანტაარალის რაიონები გადაეცა უზბეკეთის სსრ რესპუბლიკას

იმ მიზნით, რომ მოისპოს მშვიერი ველის მიწების დაშორიშორებულობა, უს-  
წრაფესად მოხდეს ამ მიწების სამეურნეო ათვისება და მათი უაღრესად რაციო-  
ნალური გამოყენება ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარ-  
მოების გასაადვილებლად, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, გამოი-



მდინარემ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან, 1963 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით უზბეკეთის სს რესპუბლიკას გადასცა სამხრეთ ყაზახეთის მხარის ჩიშკენტის ოლქის კიროვისა და პახტაარალის რაიონები.

### უზბეკეთის სსრ

#### სირდარიის ოლქის შექმნა

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 16 თებერვლის ბრძანებულებით შეიქმნა სირდარიის ოლქი ცენტრით ქალაქ იანგიერში.

ოლქის შემადგენლობაში შევიდა: სამარყანდის ოლქის ქალაქი ჯიზაკი და ჯიზაკის რაიონი, ყაზახეთის სს რესპუბლიკიდან მიღებული კიროვისა და პახტაარალის რაიონები, ტაშკენტის ოლქის ქალაქები იანგიერი და გულისტანი, სირდარიის, გულისტანის და იანგიერის რაიონები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი  
საბჭოს უწყებები

№ 7 (204) 10 მარტი 1963 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში  
(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი  
ფასი 10 კაპ.

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА  
ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 7 (204) 10 марта 1963 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции г. Тбилиси, просп. Руставели 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა 259

ტირაჟი 2500

უე 01497

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1963 წ. 10 მარტი

Подписано в печать 10 марта 1963 г.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა  
Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР